საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აკუსილაოს არგოსელი

აკუსილაოს არგოსელი (Akusilaos ho Argeios) (ძვ. წ. VI ს.), ძველ ბერძენ ისტორიკოსთა უფროსი თაობის, ე. წ. უფროსი ლოგოგრაფოსების ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ავტორია სამი წიგნის შემცველი საისტორიო თხზულებისა „გენეალოგიები“, რ-ის მცირე ფრაგმენტებიღაა მოღწეული. ა. ა. ამ თხზულებაში გადმოსცემდა მითიური ხანის ისტორიას. მისი მთავარი *წყარო* მითები, ლეგენდები და ეპიკური ნაწარმოებები იყო. ა. ა-მა დაწვრილებით გადმოგვცა არგონავტთა თქმულების უძველესი ვერსია და კოლხეთთან დაკავშირებული ამბები.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ა. ურუშაძე